საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №180/ნ
2017 წლის 13 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებაში (სსმ III, 01.10.2010 წ., №126, მუხ. 1840) და ბრძანების:

1. პირველი პუნქტით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (დანართი №1):

ა) 24-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 24^1 მუხლი:

„მუხლი 24^1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახის ცვლილება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებაში

1. უნივერსიტეტი, რომელსაც სურს ავტორიზაციის დარჩენილი ვადით საქმიანობა განაგრძოს სასწავლო უნივერსიტეტის ან კოლეჯის სტატუსით და კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის სახესთან – სასწავლო უნივერსიტეტთან/კოლეჯთან, თავსებად საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს, უფლებამოსილია ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახის შეცვლასთან დაკავშირებული ცვლილების შეტანის თაობაზე დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს.

2. სასწავლო უნივერსიტეტი, რომელსაც სურს ავტორიზაციის დარჩენილი ვადით საქმიანობა განაგრძოს კოლეჯის სტატუსით და კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის სახესთან – კოლეჯთან, თავსებად საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს, უფლებამოსილია ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახის შეცვლასთან დაკავშირებული ცვლილების შეტანის თაობაზე დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახის შეცვლის თაობაზე დადებით/უარყოფით გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის/სასწავლო უნივერსიტეტის შუამდგომლობისა და სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით, ამ დებულების 24-ე მუხლით დადგენილი წესით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია მისი საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაში მოიყვანოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შეცვლილ სახესთან.“;

ბ) 27^1 მუხლის პირველი-მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების – უნივერსიტეტის სტატუსის მაძიებელი ვალდებულია ავტორიზაციის მიღებიდან 6 თვის ვადაში ცენტრში წარადგინოს სააკრედიტაციო განაცხადი მინიმუმ ერთი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტი ამ ვადაში არ წარადგენს ცენტრში სააკრედიტაციო განაცხადს, ან ვერ მიიღებს აკრედიტაციას ვერცერთ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე, საბჭო ცენტრის ინიციატივით განიხილავს აღნიშნული დაწესებულების ავტორიზაციის გაუქმების საკითხს, ან ამ დებულების 24^1 მუხლით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე, განიხილავს ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახის შეცვლასთან დაკავშირებული ცვლილების შეტანის საკითხს. ამ შემთხვევაში, უნივერსიტეტი უფლებამოსილია, ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახის შეცვლასთან დაკავშირებული ცვლილების შეტანის თაობაზე დასაბუთებული შუამდგომლობა ცენტრში წარადგინოს ამ პუნქტით სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენისათვის განსაზღვრული 6-თვიანი ვადის გასვლიდან ან აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში. ამ პუნქტით გათვალისწინებული წესი არ ვრცელდება უნივერსიტეტზე, რომელიც ცენტრში საავტორიზაციო განაცხადის წარდგენისას ახორციელებს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას.

2. იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების – სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის მაძიებელს საავტორიზაციო განაცხადში მითითებული აქვს, რომ ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში განახორციელებს მხოლოდ იმ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს, რომლისთვისაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სავალდებულოა აკრედიტაციის გავლა, იგი ვალდებულია ავტორიზაციის მიღებიდან 6 თვის ვადაში ცენტრში წარადგინოს სააკრედიტაციო განაცხადი მინიმუმ ერთი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო უნივერსიტეტი ამ ვადაში არ წარადგენს ცენტრში სააკრედიტაციო განაცხადს, ან ვერ მიიღებს აკრედიტაციას მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე, საბჭო ცენტრის ინიციატივით განიხილავს აღნიშნული დაწესებულების ავტორიზაციის გაუქმების საკითხს, ან ამ დებულების 24^1 მუხლით დადგენილი წესით, სასწავლო უნივერსიტეტის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე, განიხილავს ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახის შეცვლასთან დაკავშირებული ცვლილების შეტანის საკითხს. ამ შემთხვევაში, სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია, ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახის შეცვლასთან დაკავშირებული ცვლილების შეტანის თაობაზე დასაბუთებული შუამდგომლობა ცენტრში წარადგინოს ამ პუნქტით სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენისათვის განსაზღვრული 6-თვიანი ვადის გასვლიდან, ან აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში. ამ პუნქტით გათვალისწინებული წესი არ ვრცელდება სასწავლო უნივერსიტეტზე, რომელიც ცენტრში საავტორიზაციო განაცხადის წარმოდგენისას ახორციელებს ამ პუნქტით გათვალისწინებულ პროგრამას.“;

2. მე-2 პუნქტით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საფასურის“ (დანართი №2) მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის შემდეგ, დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. ავტორიზაციის საფასურის გადახდისაგან თავისუფლდება ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც მიიღებს სტატუსის შეცვლის გადაწყვეტილებას და 2018 წლის 1 იანვრამდე ცენტრში წარადგენს საავტორიზაციო განაცხადს პროფესიული ან საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსის მოსაპოვებლად.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

განათლებისა და მეცნიერების
მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელი **ქეთევან ნატრიაშვილი**